საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030150938059721

№ 01-365/ო **14 / სექტემბერი / 2021 წ.**

ააიპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის მიერ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის გაფართოვების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად და COVID-19 ინფექციის ტრანსმისიის შესაჩერებლად, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის N67 განკარგულების, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის № 322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-18 მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ო“ ქვეპუნქტების, ,,COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის № 01-11/ნ ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართის (COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესი) 4^1 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. სამედიცინო და არასამედიცინო დაწესებულებაში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში covid-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის ორგანიზების მიზნით, დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მართვაში არსებულ ააიპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს (შემდგომში - ჰოლდინგი) მის მართვაში არსებულ კლინიკებთან ერთად უზრუნველყოს:

1. ,,COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის №01-11/ნ ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართის (COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესი) 4^1 მუხლის გათვალისწინებით COVID-19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის ცენტრის ამცრელი ბრიგადების შესაბამისი სამედიცინო კადრით დაკომპლექტება და ასევე, ვაქცინაციისთვის საჭირო საგნებით/სახარჯი მასალითა და აღჭურვილობით მომარაგება, დამატებით:

ა) ქ. თბილისში, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;

ბ) ქ. თბილისში, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტერიტორიაზე 2021 წლის 13 აგვისტოდან;

გ) ქ. თბილისში, სსიპ - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) ტერიტორიაზე;

დ) ხოლო შემდგომ - საქართველოში COVID-19-ის ვაქცინაციის დანერგვის უწყებათაშორის საკოორდინაციო კომისიასთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით ვაქცინაციის პროცესის ორგანიზების მიზნით, ამცრელი ბრიგადების შესაბამისი სამედიცინო კადრით დაკომპლექტება და ასევე, ვაქცინაციისთვის საჭირო საგნებით/ სახარჯი მასალითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა, 2021 წლის 27 აგვისტოდან.

3. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მაღალის რისკის სამედიცინო საქმიანობის (იმუნიზაცია) განხორციელების დაწყებასთან დაკავშირებით, ჰოლდინგმა უზრუნველყოს „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის № 359 დადგენილების შესაბამისად, შეტყობინების განხორციელება ავტოსატრანსპორტო საშუალების განთავსების/გადაადგილების არეალის მითითებით.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ააიპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის მიერ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის გაფართოვების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის N01-289/ო ბრძანება.

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე